სსიპ-გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Legal Entity of Public Law-Gori State Teaching University

აკადემიური საბჭო

დადგენილება № 09-13

გორი 23 03 2018წ.

სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N125/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის (22.03.2018. N322352) სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ დებულება დანართის შესაბამისად;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ – გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 ივნისის N09-91 დადგენილება;

3. კანცელარიის უფროსს დაევალოს ეს დადგენილება განათავსოს ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას;

4. ეს დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

5. ამ დადგენილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (თბილისი, უზნაძის №52), შემდეგ გორის რაიონულ სასამართლოში (გორი, ჯორბენაძის №30).

რექტორი გიორგი სოსიაშვილი

დანართი

დებულება

სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის შესახებ

1. საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას უძღვება შესაბამისი დარგის პროფესორი. თუ დარგი წარმოდგენილია რამდენიმე პროფესორით, მაშინ მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის შერჩევა ხდება მოცემული პროფილის აკადემიური პერსონალის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. იმ შემთხვევაში, თუ დარგს არ ჰყავს პროფესორი, პროგრამას უძღვება ასოცირებული პროფესორი, რომელიც შეირჩევა მოცემული პროფილის აკადემიური პერსონალის ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე.

3. დარგის აკადემიური პერსონალის გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ მტიცდება ფაკულტეტის საბჭოს მიერ.

4. საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას შეიძლება უხელმძღვანელოს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეულმა სპეციალისტმა. გადაწყვეტილება პროგრამის ხელმძღვანელის მოწვევის შესახებ უნდა მიიღოს აკადემიურმა საბჭომ ფაკულტეტის საბჭოს წარდგინების საფუძველზე.

5. საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელს უნდა გააჩნდეს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, მისი კვალიფიკაცია, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს მოცემული პროგრამის შინაარსსა და მიზანდასახულობას.

6. პროგრამის ხელმძღვანელის რეკომენდაციით პროგრამას შესაძლოა ჰყავდეს თანახელმძღვანელი, რომელსაც პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო.

7. პროგრამის ხელმძღვანელი ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების და განვითარების პროცესებს, უზრუნველყოფს მათ საჯაროობასა და გამჭვირვალობას, აგრეთვე ამ პროცესებში შესაბამისი მიმართულების აკადემიური პერსონალის, მოწვეული სპეციალისტების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების,

დარგობრივი ინსტიტუტების წარმომადგენლების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული პირების მონაწილეობას.

8. პროგრამის ხელმძღვანელი ადგენს მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული სპეციალისტების (მათი არსებობის შემთხვევაში) აკადემიურ ან/და საათობრივ დატვირთვებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფაკულტეტის დეკანს.

9. პროგრამის ხელმძღვანელი შედის ფაკულტეტის დეკანთან წინადადებით მოცემული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტების მოწვევის შესახებ.

10. პროგრამის ხელმძღვანელი აკონტროლებს სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების პროგრამით განსაზღვრულ მიზნებთან და შედეგებთან, აგრეთვე პროგრამის კომპეტენციების რუკასთან და სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობების პროგრამის წინაპირობების მატრიცასთან შესაბამისობას და პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხზე და, ზოგადად, ხარისხის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობაზე.

11. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს პასუხისმგებელ და საკონტაქტო პირს მოცემულ საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული ნებისმიერი საორგანიზაციო, ტექნიკური თუ კონცეპტუალური ხასიათის პრობლემის წამოჭრისას.

12. პროგრამის ხელმძღვანელი ჩართულია პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.